ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1000000
მათ შორის კაპიტალური პროექტები	1000000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1000000
ქვეპროგრამის მიზანი	
ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	
ქვეპროგრამის აღწერა	

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება; დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო სრულყოფილი ექსპერტიზაგავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი**

მომზადებულია შესასრულებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	020402
ქვეპროგრამის დასახელება:	შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	800 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	800 000

**ქვეპროგრამის მიზანი**

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის შესაბამისობის კონტროლის განხორციელება

**ქვეპროგრამის აღწერა**

შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივად ხორციელდება ექსპერტიზა. შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცესში წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნები ხარისხისა და მოცულობის შესაბამისობაზე, რის შედეგადაც მიიღწევა ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება. მუნიციპალიტეტში 50 ათასს ლარს ზევით ღირებულების ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ხორციელდება ეტაპობრივი და საბოლოო ექსპერტიზა, რომლის ღირებულება შეადგენს შესრულებული სამუშაოების ღირებულების 3,29%-ს. 50 ათასს ლარს ქვევით ღირებულების ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ხორციელდება საბოლოო ექსპერტიზა, რომლის ხარჯი გათვალისწინებულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი**

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილია შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის კონტროლი

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	0205
<b>პროგრამის დასახელება:</b>	სამოქალაქო ბიუჯეტი
<b>პროგრამის განმახორციელებელი:</b>	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური
<b>პროგრამის განხორციელების პერიოდი:</b>	2023-2026 წწ.
<b>სულ პროგრამის ბიუჯეტი:</b>	<b>350 000 ლარი</b>
<b>პროგრამის მიზანი</b>	
ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა	
<b>პროგრამის აღწერა</b>	
<p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებული პროექტის - მონაწილეობითი ბიუჯეტის (იყავი თანამმართველი) ფარგლებში ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მოქალაქეების (საინიციატივო ჯგუფები)-ს მიერ წარმოდგენილი და კენჭისყრის შედეგად გამარჯვებული პროექტების შესაბამისად სკვერების, საბავშვო კუთხეების, მინისტადიონების და სხვა ტერიტორიების მოწყობა - რეაბილიტაცია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის შესაბამისად საპროექტო განაცხადის წარდგენა (რეგისტრაცია) ხდება ელექტრონული წესით, ამისთვის სპეციალურად შექმნილი მართვისა და ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ელექტრონული მისამართია <a href="http://votes.oz.gov.ge">http://votes.oz.gov.ge</a>. საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება აქვს ქალაქ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ:</p> <p>ა) სრულწლოვან პირს;</p> <p>ბ) პირთა ჯგუფს;</p> <p>გ) არასამეწარმეო სახის საზოგადოებრივ გაერთიანებას.</p> <p>განხილვას ექვემდებარება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და ამ წესს.</p>	
<b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>	
უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში	

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0206
პროგრამის დასახელება:	ბინათმშენებლობა
პროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2023-2026 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	1231 510 ლარი
<b>პროგრამის მიზანი</b>	
მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა და ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების მოწესრიგება	
<b>პროგრამის აღწერა</b>	
<p>პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმშენებლობის ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, ლიფტების შეკეთება-აღდგენა, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მრავალბინიანი სახლების საერთო საკუთრებაში არსებული ეზოების კეთილმოწყობა, მოსახლეობის (მ.შ. ბავშვების) დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების შექმნა და მოწესრიგება.</p> <p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 333 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 100 არის ქ. ოზურგეთში. აღნიშნული სახლების 60 %-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. ოთხწლიან პერიოდში დაგეგმილია დამატებით 4 ერთეული მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ორ მაღლივი კორპუსში ლიფტების რეაბილიტაცია, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში 20 მრავალბინიანი სახლის ფასადების რეაბილიტაცია. დაგეგმილია 10 მრავალბინიანი სახლის ეზოს კეთილმოწყობა.</p>	
<b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>	
გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო	

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	020601
ქვეპროგრამის დასახელება:	მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოების კეთილმოწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის

	სამსახური
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	200 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	200 000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
მრავალბინიანი სახლების ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების მოწესრიგება	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	
<p>მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მრავალბინიანი სახლების საერთო საკუთრებაში არსებული ეზოების კეთილმოწყობა, მოსახლეობის დასვენებისა და გართობისათვის ღია სივრცეების შექმნა და მოწესრიგება.</p> <p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 333 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 100 არის ქ. ოზურგეთში.</p>	
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში დასვენებისა და გართობისათვის მოწყობილია ღია სივრცეები	

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	020602
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	ბინათმესაკუთრება ამხანაგობების მხარდაჭერა
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>



მუნიციპალური ბიუჯეტი	830 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	201510
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1031510
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; მობინადრეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	
<p>მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა. განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, ლიფტების შეკეთება-აღდგენა, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება.</p> <p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 333 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 100 არის ქ. ოზურგეთში. აღნიშნული სახლების 60%-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. წინა წლებში მრავალბინიანი სახლების 80 %-ს შეეცვალა დაზიანებული სახურავი, შეკეთდა სახურავების წყალშემკრები სისტემა. მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის ქ.ოზურგეთში რეაბილიტირებულ იქნა 6 ლიფტი, 1 საჭიროებს შეკეთებას.</p> <p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლიდან დღემდე რეგისტრირებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა შეადგენს-12. ქვეპროგრამის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებისა და ქალაქის ურბანულ ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება;</p>	
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	
ხელშეწყობილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და შექმნილია პირობები საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისთვის	

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0207
პროგრამის დასახელება:	გარე განათება და ელმომარაგება
პროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2023-2026 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	1 830 000 ლარი
პროგრამის მიზანი	



ღამის საათებში მოსახლეობის მ.შ. ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა

**პროგრამის აღწერა**

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების დაფარვა. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**

ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისთვის გამართულად ფუნქციონირებს გარე განათების სისტემა და უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების ელ.მომარაგება

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	020701
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	80 000
მათ შორის კაპიტალური პროექტები	80 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	80 000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ხელშეწყობა	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%. ღამის განათების ქსელის მთლიანი სიგრძე შეადგენს 800 კმ-ს. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსახლეობიდან შემოდის მოთხოვნები სოფლების სხვადასხვა უბნებში გარე განათების ქსელების მოწყობის უზრუნველსაყოფად. განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში განხორციელდება 200 ღამის განათების LED სანათის მოწყობა. გარე განათების ქსელების გაფართოება დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განათების გარეშე დარჩენილ განსაზღვრულ მონაკვეთებზე, ასევე გარე განათების გარეშე დარჩენილი სოფლად დასახლებული ერთეულების პერიფერიული უბნები. რომელთა ნაწილში 2023 წელს განხორციელდება გარე განათების ქსელების მოწყობის სამუშაოები.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი**

მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	020702
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ელმომარაგების ხარჯების ანაზღაურება
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	1350000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1350000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	
ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების (დასახლებულ ერთეულებში) და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების დაფარვა.	

<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	
უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგება	

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	020703
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	400 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	400 000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	
ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და ქ. ოზურგეთის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%. ქალაქ ოზურგეთში განთავსებულია 3500 ლამპიონი, სხვა დასახლებულ ერთეულებში განთავსებულია 11000 ლამპიონი. გარე განათების ქსელის მთლიანი სიგრძე შეადგენს 800 კმ-ს.	

<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	
უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა	

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	0208
<b>პროგრამის დასახელება:</b>	მუნიციპალური ტრანსპორტი

<b>პროგრამის განმახორციელებელი:</b>	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შპს სატრანსპორტო კომპანია
<b>პროგრამის განხორციელების პერიოდი:</b>	2023-2026 წწ.
<b>სულ პროგრამის ბიუჯეტი:</b>	<b>161 000 ლარი</b>
<b>პროგრამის მიზანი</b>	მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განხორციელებული სატრანსპორტო გადაზიდვები; - დროულად და კომფორტულად გადაყვანილი მგზავრები, მ.შ. უფასოდ გადაყვანილი სკოლის პედაგოგები; - მუნიციპალიტეტის მიერ კონტროლირებადი ტარიფებით მგზავრთა მომსახურება.
<b>პროგრამის აღწერა</b>	აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შ.პ.ს. ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია-ს მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ათ დასახლებულ ერთეულში მგზავრების რეგულარული გადაყვანა. შ.პ.ს. ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია-ს ბალანსზე ირიცხება 15 სატრანსპორტო ერთეული (სამგზავრო ავტობუსი). სატრანსპორტო საშუალებების საშუალო წლოვანება შეადგენს 14 წელს. დღის განმავლობაში მგზავრთა გადაყვანა ხორციელდება ათ მარშრუტზე: ოზურგეთი-შემოქმედი - შვიდი რეისი; ოზურგეთი-გორისფერდი - ერთი რეისი; ოზურგეთი-გომი - ოთხი რეისი; ოზურგეთი-ლიხაური-ოთხი რეისი; ოზურგეთი-ნიაბაური-ოთხი რეისი; ოზურგეთი-ვაკიჯვარი -შვიდი რეისი; ოზურგეთი-ცხემლისხიდი-შვიდი რეისი; ოზურგეთი-ასკანა - ოთხი რეისი; ოზურგეთი- ლაითური-ორი რეისი, ოზურგეთი-ნარუჯა - ორი რეისი. ლაითურში და ნარუჯაში ხორციელდება პედაგოგების გადაყვანა დილით და სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ უფასოდ. მუნიციპალიტეტის ათ დასახლებულ ერთეულში, შ.პ.ს. ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია-ს მიერ სრულდება ყოველდღიურად 42 რეისი, ათ მარშრუტზე. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პირველ ეტაპზე ქალაქის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების სიტემის მოწესრიგება სპეციალურად გამოყოფილ ზონებში.
<b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება და უზრუნველყოფლია მგზავრთა რეგულარული გადაყვანები

<b>პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:</b>	ინფრასტრუქტურის განვითარება
<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	0209
<b>პროგრამის დასახელება:</b>	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
<b>პროგრამის განმახორციელებელი:</b>	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური
<b>პროგრამის განხორციელების პერიოდი:</b>	2023 წ.

მუნიციპალური ბიუჯეტი:	1 800 000
სახელმწიფო ბიუჯეტი:	1 564 800
სულ პროგრამის დაფინანსება:	3 364 800 ლარი
<b>პროგრამის მიზანი</b>	
სოფლად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	
<b>პროგრამის აღწერა</b>	
სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობებთან შეხვედრების განხორციელება, მათი მოთხოვნების შესაბამისად განსახორციელებელი პრიორიტეტები შერჩევა და პრიორიტეტების გათვალისწინებით მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციების შესაბამისად სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება.	
<b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>	
მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით სოფლად გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა	

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0210
პროგრამის დასახელება:	სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია
პროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2023 წ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	10 168 360 ლარი
<b>პროგრამის მიზანი</b>	
სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, სტიქიის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	
<b>პროგრამის აღწერა</b>	

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ათწლეულობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ხშირი წვიმების შედეგად გამოწვეული წყალუხვობის დროს ზიანდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნაპირსამაგრი ნაგებობები (გაბიონები და ნაპირდამცავი კედლები), ასევე კალაპოტებიდან გადმოსული წყალმოვარდნების შედეგად ზიანდება მდინარეების მიმდებარედ არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და ხიდეები, საგზაო ნაგებობები, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები და სხვადასხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. ქარიშხლების ზემოქმედების შედეგად, ათწლეულობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ადგილი აქვს მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების დაზიანებას. პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სამუშაო ჯგუფების მიერ ხორციელდება გამოწვეული ზარალის შეფასება და აღნიშნულ მასალების წარდგენა საქართველოს მთავრობასთან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შესაბამისი სახსრების გამოყოფის მიზნით. გამოყოფილი თანხების შესაბამისად ხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ასევე კერძო მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია და სტიქიისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების გადაცემა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**

აღმოფხვრილია სტიქიით გამოწვეული შედეგები

**მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

(პროგრამული კოდი 03 00)

**პრიორიტეტის ბიუჯეტი: 4 103 000 ლარი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების დროებით თავშესაფარში გადაყვანა.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	4103,00	3 834,00	4 004,00	4 360,00



03 01	მუნიციპალური წარჩენების მართვა და დასუფთავება	3566,00	3 284,00	3 434,00	3 750,00
03 01 01	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები	680,00	700,00	700,00	800,00
03 01 02	წარჩენების გატანა	1131,00	1 074,00	1 074,00	1 150,00
03 01 03	ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა	1755,00	1 510,00	1 660,00	1 800,00
03 02	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება	200,00	200,00	210,00	220,00
03 02 01	სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა	170,00	170,00	180,00	190,00
03 02 02	მრავალწლიანი ნარგავების შექმნა	30,00	30,00	30,00	30,00
03 03	მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა	337,00	350,00	360,00	390,00
03 03 01	ჩამდინარე წყლების მართვა	140,00	140,00	140,00	150,00
03 03 02	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა	90,00	100,00	110,00	120,00
03 03 03	მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	107,00	110,00	110,00	120,00

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0301
პროგრამის დასახელება:	მუნიციპალური წარჩენების მართვა და დასუფთავება
პროგრამის განმახორციელებელი:	ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2023-2026 წწ.

<b>სულ პროგრამის ბიუჯეტი:</b>	<b>3 566 000</b>
<b>პროგრამის მიზანი</b>	
მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება	
<b>პროგრამის აღწერა</b>	
<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზინფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 1550 ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ქალაქის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 3 ნაგავშიდი, ხოლო მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და დაბების ტერიტორიიდან გატანას მოემსახურება 5 ნაგავშიდი. დღეს არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად სუფთავდება 277400 კვმ ფართობი. პროგრამის ფარგლებში 2023 წლისათვის იგეგმება 70280 კვმ-ით მეტი ფართობის დაგვა, სულ ყოველდღიურად მოხდება 347680კვმ ფართობის დაგვა-დასუფთავება მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 248680 კვმ და სოფლებისა და თემების ტერიტორიაზე 99000 კვმ-ის.</p>	
<b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>	
გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვა	

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>030101</b>
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	680000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	680000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება	



<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>
<p>ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას, ნაგვის ურნებში განთავსებას. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს ემსახურება 55 მეეზოვე. პროგრამის ფარგლებში 2023 წლისათვის იგეგმება 70280 კვმ-ით მეტი ფართობის დაგვა სულ ყოველდღიურად მოხდება 347680კვმ ფართობის დაგვა-დასუფთავება მ.შ ქალაქის ტერიტორიაზე 248680 კვმ და სოფლებისა და თემების ტერიტორიაზე 99000 კვმ-ის.</p>
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>
<p>უზრუნველყოფილია ქალაქსა და დაბებში საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება</p>

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	030102
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	ნარჩენების გატანა
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	1131000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1131000

<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>
ნარჩენების დროული გატანა და სუფთა გარემო
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>
<p>ქვეპროგრამა მოიცავს შეგროვებული ნარჩენების გატანას ყოველდღიურად, ხოლო ტურისტულ სეზონზე დღეში ორჯერ. მუნიციპალიტეტში განთავსებული 1800 ურნიდან ყოველ დღიურად მოხდება 40 ტონამდე ნარჩენის გატანა ნაგვის პოლიგონზე. ქალაქის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 3 ნაგავმზიდი, ხოლო მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და დაბების ტერიტორიიდან გატანას მოემსახურება 5 ნაგავმზიდი.</p>

<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>
-------------------------------------

უზრუნველყოფილია ნარჩენების გატანა დასახლებული ტერიტორიებიდან

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	030103
ქვეპროგრამის დასახელება:	ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1755000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1755000
ქვეპროგრამის მიზანი	
შესასრულებელი სამუშაოების ადმინისტრაციული უზრუნველყოფა	
ქვეპროგრამის აღწერა	
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის, მწვანე საფარის დაგვა-დასუფთავების; სანაგვე კონტეინერების დეზინფექციის, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვის; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდის, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანის; ურეკი-შეკვეთილის ტერიტორიის დასუფთავების; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ადმინისტრაციულ უზრუნველყოფა. ადმინისტრაციული უზრუნველყოფისათვის გამოყენებული იქნება ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის მფლობელობაში არსებული შრომითი რესურსები და ტექნიკა.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	
უზრუნველყოფილია დასუფთავების სერვისის ეფექტური მართვა	

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0302
პროგრამის დასახელება:	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და

	განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)ი.პ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2023-2026 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	200 000 ლარი
<b>პროგრამის მიზანი</b>	
მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მცენარეთა ფიტო-სანიტარიული მდგრადობის შენარჩუნება, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა.	
<b>პროგრამის აღწერა</b>	
<p>პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებულ სკვერებსა და პარკებში მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება, მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა. განხორციელდება ახალი ხე-მცენარეების, ყვავილებისა და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 23 ერთეული, 288024კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 14 ერთეული, 228297 კვმ საერთო ფართობის ღია სივრცე. რეაბილიტირებული სკვერების და პარკების წილი შეადგენს 10%-ს.</p>	
<b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>	
მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა	

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	030201
ქვეპროგრამის დასახელება:	სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)ი.პ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	170 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	170 000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	
<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობა, მოსახლეობის დასვენების პირობები. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 23 ერთეული, 288024კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 14 ერთეული.</p>	
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	
უზრუნველყოფილია სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა	

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>		030202
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	მრავალწლიანი ნარგავების შექმნა	
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>		
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>	
მუნიციპალური ბიუჯეტი	30 000	
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	30 000	
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>		
ქალაქის ტერიტორიის გამწვანება		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>		
<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 5000 ერთეული ერთწლიანი ყვავილის და 1200 ერთეული სხვადასხვა მრავალწლიანი ნარგავების დარგვა.</p>		
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>		
განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები და უზრუნველყოფილია ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა		

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	0303
<b>პროგრამის დასახელება:</b>	მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა

პროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)ი.პ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2023-2026 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	337 000 ლარი
<b>პროგრამის მიზანი</b>	
ჩამდინარე წყლების მართვა (სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება), მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების ტერიტორიის მოწესრიგება	
<b>პროგრამის აღწერა</b>	
<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტი სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობას. პროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში უკონტროლო გადაადგილების აღკვეთა, მაწანწალა ძაღლების დაჭერა, თავშესაფარში გადაყვანა შემდომში სამედიცინო სამუშაოების (სტერილიზაცია, კასტრაცია, პარაზიტებზე დამუშავება, იდენტიფიცირება (ყურის კლიპის მეშვეობით ცოფზე აცრა) ჩატარება და მის ბუნებრივ არიალში დაბრუნება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებთან მისასვლელი გზებისა და უპატრონო საფლავეების გაცეცვა-გაწმენდას, შხამ-ქიმიკატებით დამუშავებას, ღობეების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, სასაფლაოების ტერიტორიაზე არსებული ხე-ბუჩქნარის სანიტარული ჭრის ჩატარებას.</p>	
<b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>	
უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა	

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	030301
ქვეპროგრამის დასახელება:	ჩამდინარე წყლების მართვა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)ი.პ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	140 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	140 000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების მართვა, რათა შემცირდეს წყალმოვარდნების რისკი
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>
ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტი სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლუატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობას.
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ჩამდინარე წყლების მართვა

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	030302
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	ა(ა)ი.პ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	90 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	90 000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რქოსანი პირუტყვის გადაადგილების კონტროლი და მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	
ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „წლის განმავლობაში დაახლოებით 262 ჰა-ზემსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უკონტროლო გადაადგილების აღკვეთას, 350 მაწანწალა ძაღლის დაჭერას, თავშესაფარში გადაყვანას შემდომში სამედიცინო სამუშაოების (სტერილიზაცია, კასტრაცია, პარაზიტებზე დამუშავება, იდენტიფიცირება (ყურის კლიპის მეშვეობით ცოფზე აცრა) ჩატარებისა და მის ბუნებრივ არიალში დაბრუნებას.	
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	
უზრუნველყოფილია მიუსაფარი ცხოველების მართვა და გაკონტროლებულია ქალაქში შინაური პირუტყვის გადაადგილება	

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	030303
ქვეპროგრამის დასახელება:	მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)ი.პ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	107 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	107 000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
სასაფლაოების ტერიტორიის მოწესრიგება	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	
<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 137 სასაფლაოსთან ( მ.შ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ 7 და მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბებში 130) მისასვლელი გზებისა და უპატრონო საფლაოების გაცეცხვა-გაწმენდას, შხამ-ქიმიკატებით დამუშავებას, ღობეების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, სასაფლაოების ტერიტორიაზე არსებული ხე-ბუჩქნარის სანიტარული ჭრის ჩატარებას. ბალახის, ბუჩქების და ხეების მოვლა, სტრუქტურის წესრიგში მოყვანა, სასაფლაოს მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენა და მომსახურება.</p>	
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	
მოწესრიგებულია მუნიციპალური სასაფლაოები	

**მუხლი 15. განათლება**

(პროგრამული კოდი 04 00)

პრიორიტეტის ბიუჯეტი: 9 560 210 ლარი



საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა აქტივობის ამაღლებასა და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციას.

პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ასევე, ზოგადი, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და სხვა.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	9560,2	7 570,0	7 940,0	8 555,0
04 01	სკოლამდელი განათლება	7590,03	7 350,0	7 700,0	8 300,0
04 01 01	ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (040101)	7 150,0	7 350,0	7 700,0	8 300,0
04 01 02	სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება (040102)	440,03			
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1900,18	150,0	170,0	175,0
04 02 01	საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები (040201)	1761,76	50,0	50,0	50,0
04 02 02	100%-იანი გრანტის მფლობელი და ოქროს მედალოსანი მოსწავლეების წახალისება (040202)	100,0	100,0	100,0	100,0
04 02 03	საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ღონისძიებების მხარდაჭერა (040203)	38,42	0,0	20,0	25,0
04 03	ფორმალური, არაფორმალური, პროფესიული, უმაღლესი განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	70,0	70,0	70,0	80,0
04 03 01	ფორმალური, არაფორმალური, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (040301)	50,0	50,0	45,0	55,0
04 03 02	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (040302)	20,0	20,0	25,0	25,0

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	040101
ქვეპროგრამის დასახელება:	ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	7 150 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	7 150 000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღზრდის კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	
<p>ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი ემსახურება 45 საბავშვო ბაღს, რომელთა შორის ქალაქ ოზურგეთში განთავსებულია 8 საბავშვო ბაღი, ხოლო მუნიციპალიტეტის თემებში 37 საბავშვო ბაღი. ბავშვთა რაოდენობა სულ შეადგინს 2106 აღსაზრდელს, რომელთა შორის 795 არის ქალაქის ბაღებში და 1311 სოფლების ბაღებში. აღნიშნული ბავშვთა კონტინგენტიდან 1045 არის გოგო და 1061 ბიჭი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 843 თანამშრომელი, მათ შორის 87 მამაკაცი და 756 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.</p>	
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა	

<b>პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:</b>	სკოლამდელი განათლება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	040102
ქვეპროგრამის დასახელება:	სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური

<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	215 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	225 100
სხვა წყარო	
მათ შორის კაპიტალური პროექტები	390100
<b>სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი</b>	<b>440100</b>

**ქვეპროგრამის მიზანი**

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი ინფრასტრუქტურის მოწყობა და რეაბილიტაცია

**ქვეპროგრამის აღწერა**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 45 საბავშვო ბაღი, 20 შენობა რეაბილიტირებულია, 24 ბაღის შენობაში საჭიროა სარეაბილიტაციო სამუშაოები. საჭიროა მიმდებარე ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი**

რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობები და შექმნილია ადაპტირებული გარემო შშმ ბავშვთა ხელმისაწვდომობისთვის

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	0402
<b>პროგრამის დასახელება:</b>	ზოგადი განათლების ხელშეწყობა
<b>პროგრამის განმახორციელებელი:</b>	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
<b>პროგრამის განხორციელების პერიოდი:</b>	2023-2026 წწ.
<b>სულ პროგრამის ბიუჯეტი:</b>	<b>1 900 180 ლარი</b>

<b>პროგრამის მიზანი</b>
ზოგადი განათლების ხელშეწყობა მუნიციპალური პროგრამებით
<b>პროგრამის აღწერა</b>
<p>მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სასკოლო, სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის კოორდინაცია;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში, ინფრასტრუქტურული სამუშაოების და მცირე მოცულობის კაპიტალური ხარჯების დაფინანსება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება საინიციატივო ჯგუფების, სასკოლო კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა.</li> <li>- საჯარო სკოლების წარმატებული აბიტურიენტები წახალისდება ფულადი ჯილდოთ ( 100%-იანი გრანტის მფლობელები- 3000 ლარით. გრანტის მფლობელი აბიტურიენტის სკოლა -1500 ლარით.</li> <li>- ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებულები წახალისდებიან ფულადი ჯილდოთი -300 ლარით;</li> <li>- მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების მიღწევების მქონე და ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება.</li> <li>-14 აპრილი- დედაენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდება კალიგრაფიის კონკურსი რომელიც მიზნად ისახავს კალიგრაფიის პოპულარიზაციას, ხელით წერით კულტურის განვითარებასა და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენას. გამოვლინდება გამარჯვებულები, გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები</li> </ul>
<b>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>
ხელშეწყობილია ზოგადი განათლება

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	040201
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	50 000
<b>სახელმწიფო ბიუჯეტი</b>	<b>1711800</b>

სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1 761 800
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეთათვის ადაპტირებული და კომფორტული გარემოს შექმნა	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში განხორციელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მცირე მოცულობის კაპიტალური ხარჯების გაწევა (კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, საოფისე ინვენტარის შეძენა და სხვა).	
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	
მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეთათვის შექმნილია ადაპტირებული და კომფორტული გარემო ზოგადი განათლების მისაღებად	

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	040202
ქვეპროგრამის დასახელება:	100%-იანი გრანტის მფლობელი და ოქროს მედალოსანი მოსწავლეების წახალისება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2023 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	100 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	100 000
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლების კურსდამთავრებულებისა და მათი სკოლების ფინანსური წახალისება, რომელთაც 100% -იანი სახელმწიფოს გრანტი აქვთ მოპოვებული. ოქროს მედალოსანი მოსწავლეების წახალისება.	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	

100% -იან სახელმწიფო გრანტის მფლობელი სკოლის კურსდამთავრებულებს და მათ სკოლას, ერთჯერადად გადაეცემათ ფულადი ჯილდო, გრანტის მფლობელ მოსწავლეს 3000, ხოლო სკოლა 1500 ლარის ოდენობით (მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ეროვნული გამოცდების შედეგად 100% -იანი გრანტის მფლობელი კურსდამთავრებულების მონიტორინგი, ბაზის შექმნა, საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლე, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა (100%), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან წახალისების მიზნით ერთჯერადი გასაცემლის სახით მიიღებს 3000 (სამიათასი) ლარს, სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ინფორმაციის საფუძველზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლა, რომელშიც სწავლობდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის მფლობელი მოსწავლე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფინანსდება 1500 (ათასხუთასი) ლარით (თითოეულ წარმატებულ მოსწავლეს) სკოლის მცირე კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

ქვეპროგრამის ფარგლებში წახალისდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებულები, რომლებიც ერთჯერადი ჯილდოს სახით მიიღებენ 300 ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა დაჯილდოების ცერემონია.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** 100% -იანი სახელმწიფოს გრანტის მფლობელი ოზურგეთის სკოლების კურსდამთავრებულები და მათი სკოლები ფინანსურად არიან წახალისებულნი

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	040203
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ღონისძიებების მხარდაჭერა
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	38 420
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	38 420

**ქვეპროგრამის მიზანი**

- ქვეპროგრამის მიზანია დემოკრატიული კულტურის დანერგვის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტსა და სკოლებს შორის თანამშრომლობითი კულტურის დანერგვა და აქტიურ მოსწავლეთა თვითმმართველობის ხელშეწყობა. ასევე, ისეთი კომპეტენციების განვითარება, რომლებიც მოეთხოვებათ დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეებს.
- განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება/წახალისება.
- ახალგაზრდებში ხელით წერის კულტურის განვითარება.

**ქვეპროგრამის აღწერა**

1. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმითა და ეროვნული სასწავლო გეგმის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობას, მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებში., საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტები, რომელიც ეხება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას ეკოლოგიის, მეწარმეობის, თვითმმართველობის საკითხებს, რომელთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეები. წარმოდგენილ პროექტს თან უნდა ახლდეს სკოლის დირექტორის შუამდგომლობა და სამეურვეო საბჭოს რეკომენდაცია. პროექტის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 700(შვიდასი)ლარს.

2. მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვდებიან ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომლებსაც ერთჯერადი ჯილდოს სახით გადაეცემა 500(ხუთასი),ლარი,სამკერდე ნიშანი,მადლობის ბარათი/თაიგული.

3.14 აპრილი- დედაენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდება კალიგრაფიის კონკურსი რომელიც მიზნად ისახავს კალიგრაფიის პოპულარიზაციას, ხელით წერით კულტურის განვითარებასა და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენას. გამოვლინდება გამარჯვებულები,გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები

**მოსალოდნელი შუალედური შედეგი:** მხარდაჭერილია საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული მინიმუმ 10 (ათი) აქტივობა

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	0403
<b>პროგრამის დასახელება:</b>	ფორმალური,არაფორმალური, პროფესიული, უმაღლესი განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა
<b>პროგრამის განმახორციელებელი:</b>	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
<b>პროგრამის განხორციელების პერიოდი:</b>	2023-2026 წწ.
<b>სულ პროგრამის ბიუჯეტი:</b>	<b>70 000 ლარი</b>
<b>პროგრამის მიზანი</b>	
<p>1. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანების წახალისება განათლების მუნიციპალური პროგრამის გზით</p> <p>2. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობი გარემოს შექმნა.</p> <p>3. პროგრამის მიზანია საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობის გზით მოსწავლეთა ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შშმ და სსმ მოსწავლეებისთვის.</p>	



**პროგრამის აღწერა**

1. პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება შემოქმედებითი აკადემიური უნარების მქონე ნიჭიერი ახალგაზრდებისა და მოსწავლეების დაფინანსება სხვადასხვა კონკურსებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, გაცვლით პროგრამებში. ასევე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ვიზიტი თანამშრომლობითი უნარების, ევროპული ღირებულებების, გამოცდილებების გაზიარების, მოსწავლეების უცხოელ თანატოლებთან დამეგობრების და დიპლომატიის განვითარების მიზნით
2. ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა სსმ, შშმ შესაძლებლობის მქონე და მოწყვლადი ჯგუფის მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტეგრაცია და სოციალიზაცია. მათვის საჭირო ადამიანურ, სასწავლო, მატერიალურ რესურსებზე და სასწავლო პროცესზე ხელმისაწვდომობა და სხვა.
3. წლის რჩეულის ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცემა სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, მოსწავლე/ ახალგაზრდებს, რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს ავლენენ განათლების, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის, ტექნოლოგიის, მედიცინის მიმართულებით. ასევე, პირს რომელიც წარადგენს თავის კუთხეს (გურიას) საერთაშორისო დონეზე და წვლილს შეიტანს ევროპული ღირებულებების გავრცელებაში. წლის რჩეულის კანდიდატურის წარდგენა მოხდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ასევე ორგანიზაციების ინიციატივით. (წლის განმავლობაში არაუმეტეს 5 ადამიანისა)
4. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭერა.
5. სტუდენტების წახალისება სტიპენდიის გაცემის გზით
6. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ისეთი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდას. დაგეგმილი ღონისძიებების გზით საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გენდერული სტატისტიკის წარმოება; მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის“ მუშაობის კოორდინაცია; სამოქალაქო სექტორისა და მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა
7. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი**

ხელშეწყობილია არაფორმალური განათლება და უზრუნველყოფილია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	040301
<b>ქვეპროგრამის დასახელება:</b>	ფორმალური, არაფორმალური, სკოლამდელი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b>	'განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
<b>ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო</b>	<b>2023 წელი</b>
მუნიციპალური ბიუჯეტი	50 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	50 000
